ყოველდღე, როდესაც ალლაჰის მონები დილას იღვიძებენ, მათთან გარდაუვლად ჩამოდის ორი ანგელოზი. ერთი მათგანი ამბობს: ‘ო ალლაჰ, მიეცი კეთილი საზღაური მას, ვინც ხარჯავს [შენთვის]!’ ხოლო მეორე ამბობს: ‘ო ალლაჰ, გაუგზავნე დაღუპვა მას, ვინც ძუნწობს!

გადმოცემულია აბუ ჰურაირასგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ყოველდღე, როდესაც ალლაჰის მონები დილას იღვიძებენ, მათთან გარდაუვლად ჩამოდის ორი ანგელოზი. ერთი მათგანი ამბობს: ‘ო ალლაჰ, მიეცი კეთილი საზღაური მას, ვინც ხარჯავს [შენთვის]!’ ხოლო მეორე ამბობს: ‘ო ალლაჰ, გაუგზავნე დაღუპვა მას, ვინც ძუნწობს!»
[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

მოციქული (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ ყოველი დღის განთიადისას, როცა მზე ამოდის, ორი ანგელოზი ჩამოდის და მოუწოდებს, ერთ-ერთი მათგანი ამბობს: ო ალლაჰ, ვინც გასცემს შენი მორჩილებისთვის, ოჯახის საჭიროებებისთვის, სტუმრებისთვის და ნებაყოფლობითი სიკეთეებისთვის, მიეცი მას სამაგიერო და აუნაზღაურე იგი უკეთესით იმაზე, რაც დახარჯა, და დალოცე იგი. ხოლო მეორე ამბობს: ო ალლაჰ, ვინც იკავებს ხელში შენთვის განკუთვნილ ხარჯს, გაუნადგურე მისი ქონება, რომელიც მან ღირსეულებს აუკრძალა.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/3379

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee